



**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი**



MES 1 21 0000018707



21/01/2021

**ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „ელექტრონული და კომპიუტერული
ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ**

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27² მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3¹ პუნქტისა და „აკრედიტაციის დებულების“ 27⁶-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს

გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 11 ივნისს ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი №459098 „ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 1 ივლისს № 547174 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 27 აგვისტოს №740380 (ცვლილება: №1072396 05.11.2020) ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 19 და 20 ნოემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უსდ-ში, ხოლო 2020 წლის 16 დეკემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 24 დეკემბერს სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 15 ხმით 0 წინააღმდეგ,

გადაწყვეტა:

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 21 იანვრის №18701 სხდომის ოქმის № 3 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები.

რეკომენდაციები:

- ა) სასწავლო კურსების სილაბუსებში: ლიტერატურა და ხელოვნება, აზროვნების მათემატიკური წესი მიეთითოს ძირითადი ლიტერატურა;
- ბ) სასწავლო კურსების სილაბუსებში: მუშაობა ორგანიზაციაში, ინგლისური ენა 1 და ინგლისური ენა 2-ის გასწორდეს არსებული ტექნიკური ხარვეზები - შეფასებების კომპონენტებისა და შეფასების რუბრიკაში მოცემული ქულების რაოდენობა არ ემთხვევა ერთმანეთს (მაგალითად: შუალედური ტესტი 15 ქულით ფასდება, ხოლო რუბრიკა 10 ქულაზეა დათვლილი);
- გ) სასწავლო კურსების სილაბუსებში: ბუნებისმეტყველება, პროგრამირება და ჩამენებული სისტემები, საინჟინრო გრაფიკა I, ციფრული მართვა I და ციფრული მართვა II დეტალურად გაიწეროს შუალედური და ფინალური შეფასების რუბრიკები;


რჩევები:

- ა) სასურველია პროგრამას დაემატოს აკადემიური წერის კურსი;
- ბ) სასურველია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უკეთ კონტროლის მიზნით დაინერგოს ანტი პლაგიატის პროგრამა;
- გ) სასურველია წარჩინებული სტუდენტების წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით, სტუდენტების აკადემიურ მიღწევების, ასევე კურიკულუმსმიდმ ასტუდენტთა აქტივობის გათვალისწინებით (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სხვადასხვა სამეცნიერო პროდუქტის შექმნაში მონაწილეობა და სხვ.) დაინერგოს სასტიპენდიო პროგრამა სტუდენტებისთვის;
- დ) სასურველია გაძლიერდეს პროგრამა ინტერნაციონალიზაციის კუთხით, ამოქმედდეს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები და ამ გზით გაუმჯობესდეს სტუდენტთა მობილობის მექანიზმები;
- ე) სასურველია კურსდამთავრებულები უფრო მეტად იყვნენ ჩართულნი პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესში (როგორც აკრედიტაციის ვიზიტის დროს ინტერვიუს პროცესში კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს უსდ მათ უკავშირდება იმის დასაზუსტებლად დასაქმებულები არიან თუ არა პროფესიით, თუმცა ისინი არ ყოფილან ჩართული და საკუთარი აზრი არ გამოუხატავთ პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით);
- ვ) სასურველია პროგრამამ გამოიყენოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება (სხვა უსდ-ებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;
- ზ) სასურველია, თვითშეფასების ანგარიშის მომზადებისას, უფრო მკაფიოდ მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება და გასაუმჯობესებელი მხარეების გამიჯვნა სტანდა რტებს შორის.


5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 24 დეკემბერს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერია
2	ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება N. 269
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ელექტროინჟინერია და მართვის ავტომატიზებული სისტემები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დამშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 - ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N. 240, თბილისი 0159, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	24.12.2020
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	24.12.2027